


სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში


კახაბერ კირტავა
„24“ „10“ 2014 წელი

2 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო
დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 20/105

2012 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

აუდიტის ანგარიში

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	4
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	5
დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.....	5
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	5
აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
პირობითი მოსაზრების საფუძველები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.....	6
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	9
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	9
• საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება	9
• ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა	9
ანგარიშგების ფორმები.....	13

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა დეპარტამენტის და მის დაქვემდებარებაში შემავალი ა(ა)იპ „ტურისტული სააგენტოს“ 2012 წლის ბალანსების, ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად ხარჯების, არაფინანსური აქტივების საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებები. 2012 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდის აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი დეპარტამენტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის - „ტურიზმის საინფორმაციო-სარეკლამო სისტემების შექმნის“ ფარგლებში 43,2 ათას ლარად შეძენილი კურორტ ქობულეთის განვითარების გეგმა-პროექტი არ არის აღიარებული აქტივად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის - „ტურიზმის საინფორმაციო-სარეკლამო სისტემების შექმნის“ ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების¹ შესაბამისად შესყიდული იქნა 43,2 ათასი ლარის ღირებულების კურორტ ქობულეთის განვითარების გეგმა-პროექტი, რომელიც არ არის აღიარებული აქტივად. ამ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული

¹ ხელშეკრულება N24. 1.02.2012 ღირებულება 26,0 ათასი აშშ დოლარი

კანონმდებლობის² მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებული საპროექტო ხარჯები, რომელთა პროპორციულად განცალკევებაც შეუძლებელია, ექვემდებარება არამატერიალურ ძირითად აქტივად აღიარებას.

2. ა(ა)იპ „ბათუმის ტურისტულ სააგენტოს“ სარგებლობაში არსებული ადმინისტრაციული შენობა არ არის აღრიცხული სააგენტოს ბალანსზე. ამასთან, სააგენტოს საგადასახადო ორგანოში არ აქვს წარდგენილი 2012 წლის ქონების გადასახადის დეკლარაცია.

საბალანსო მონაცემების შესაბამისად, სააგენტოს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხებოდა 101,1 ათასი ლარის ძირითადი აქტივები. თუმცა 2012 წლის ქონების გადასახადის დეკლარაცია სააგენტოს არ აქვს წარდგენილი. ამასთან სააგენტო სარგებლობს დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის ნაწილით, რომელიც სააგენტოს ბალანსზე არ არის აღრიცხული და შესაბამისად, ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების გამო, ექვემდებარება ქონების გადასახადით დასაბეგრ ძირითად საშუალებებში ჩართვას.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტისა და მისდამი დაქვემდებარებული ა(ა)იპ „ბათუმის ტურისტული სააგენტოს“ ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა მოცემული თარიღებით.

დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აუდიტის დეპარტამენტის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ შეესაბამება თუ არა დაპარტამენტისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

1. გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების შესახებ წარმოდგენილი მასალებით, რიგ შემთხვევებში ვერ დასტურდება გაწეული მომსახურების ხელშეკრულებების პირობებთან შესაბამისობის მდგომარეობა, რაც 299.1 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ განკარგვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი რისკის შემცველია. ამასთან, ადგილი აქვს ხელშეკრულებების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით გაფორმების ფაქტებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 17 იანვრის N7 განკარგულებით დამტკიცებული მიზნობრივი პროგრამის „ტურიზმის საინფორმაციო-სარეკლამო სისტემების შექმნის“ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიების - „სარეკლამო კომპანია თურქეთში“ შესყიდვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის N33 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდა. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში სარეკლამო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებები³ გაფორმდა თურქეთის რესპუბლიკის სარეკლამო სააგენტოებთან „VMD Reklam Tasarim Produksyon Ve Belisim SAN. TIC. LTD.STI“ და „C Partner Iletisim Danismanligi Ltd.Sti“, რომლებიც ითვალისწინებდნენ თურქეთის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეკლამირებისათვის სხვადასხვა სარეკლამო პროდუქტის შექმნასა და მხარეების უფლებებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრას „შემსრულებლის“ მიერ

³ ხელშეკრულება N50. 2.03.2014 და N51. 09.03.2012

განხორციელებული „კომუნიკაციური კონსულტაციის“ განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებები გაფორმებულია ინგლისურ ენაზე და მისი ქართული თარგმანი არ არის ნოტარიულად დამოწმებული⁴, ხელშეკრულებებში არ არის მითითებული გასაწევი მომსახურების შესაბამისი კლასიფიკატორის კატეგორიის ან ქვეკატეგორიის კოდი⁵.

პროგრამის ფარგლებში გაფორმებული N50 ხელშეკრულების შესაბამისად სააგენტოს მომსახურებაში შედიოდა: სატელევიზიო რეკლამების, ახალი ამბების რელიზების, ბეჭდვითი მასალის, ფოტოსურათების, გარე და რადიო სარეკლამო მასალების, “POP” და სარეკლამო სუვენირების შექმნა, ასევე სხვადასხვა სარეკლამო, მარკეტინგული და კომუნიკაციური გარე აქტივობების ორგანიზება. აღნიშნული აქტივობები უნდა განხორციელებულიყო დამკვეთის წერილობითი თანხმობით და ნებისმიერ სახის სარეკლამო მასალა (გარდა იმ მასალისა რომლებიც სარეკლამო არხებს გადაეცათ) კონტრაქტის დასრულების შემდეგ უნდა დაბრუნებოდა დამკვეთს⁶, ხოლო N51 ხელშეკრულება კი სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებდა კორპორაციული ბიზნესისა და კომუნიკაციური მიზნების დაგეგმარებას, მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროექტების შემუშავებას, პრეს-რელიზების, ინტერვიუების და მოწვევის წერილების შინაარსის მომზადებას, ბეჭდვითი და სარეკლამო არხების ჟურნალისტიკის მონაცემთა ბაზის შექმნას და მუდმივ განახლებას და სხვა.

ხელშეკრულებების შესრულების შესახებ მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილების უფროსის მოხსენებით ბარათში ჩამოთვლილია ხელშეკრულებების ფარგლებში გაწეული მომსახურებები, თუმცა აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი დაკვეთილი აქტივობების წერილობითი დადასტურებები, მომსახურების მიღებაზე შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტში არ არის მითითებული განხორციელებული აქტივობების შედეგად მიღებული პროდუქტები, რაც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ განკარგვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი რისკის შემცველია.

2. ადგილი აქვს საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე, საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის პირობებში, წინასწარი ანგარიშსწორების გზით 370,0 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრების გადარიცხვის ფაქტებს, რაც მნიშვნელოვანი რისკის შემცველია.

„ტურიზმის საინფორმაციო-სარეკლამო სისტემების შექმნის“ ფარგლებში ღონისძიებების განხორციელების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად,

⁴ შესურულებელია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი.

⁵ შესურულებელია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁶ ხელშეკრულების მე-5, მე-6 და მე-10 მუხლები.

370,0 ათასი ლარი, შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენლობის პირობებში, ჩარიცხულია არარეზიდენტ ფირმებზე წინასწარი ანგარიშსწორების ფორმით, რაც მნიშვნელოვანი რისკის შემცველია.

N	დასახელება	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	სახელშეკრულებო თანხა	წინასწარ გადარიცხული თანხა
1	Tura Tourism ve Dis Tic LTD	N103. 14.05.2012	47717 აშშ დოლარი	78066 ლარი
2	VMD Reclam Tasarim produksiyon Ve Belisim San.tic. ltd.STI	N119. 24.05.2012	142989 აშშ დოლარი	234974 ლარი
3	DNA 360 Ilestisim Ve Danismanlik Hizmetleri LTD	N135. 07.06.2012	1590 აშშ დოლარი	2641 ლარი
4	Nowa Itaka Sp.Z. o.o.”	N30. 7.02.2012	50000 ევრო	54300 ლარი
	ჯამი			369981 ლარი

3. შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების შედეგად, ადგილი აქვს საბიუჯეტო რესურსების არაეკონომიური განკარგვის ფაქტებს, რაც გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით შესყიდული მომსახურებისათვის გადაუდებელი აუცილებლობის დაუსაბუთებლობაში გამოიხატება.

მიზნობრივი პროგრამის „ტურიზმის საინფორმაციო-სარეკლამო სისტემების შექმნის“ ფარგლებში განხორციელებული რიგი შესყიდვები, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის ფორმით, თუმცა 3 შემთხვევაში ვერ დასტურდება შესყიდვის აღნიშნული მოტივით ჩატარების აუცილებლობა, რაც საბიუჯეტო რესურსების არაეკონომიურ განკარგვად უნდა შეფასდეს.

- ხელშეკრულება⁷ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურისტული საინფორმაციო-საორიენტაციო სისტემის გენერალური გეგმის“ შესყიდვის შესახებ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 10 აპრილის N56 განკარგულებების შესაბამისად, გაფორმდა გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით 2012 წლის 15 ოქტომბერს, ანუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისის სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 6 თვის შემდეგ.

- ხელშეკრულება⁸ „კაზინოს ინვესტორთა კონფერენციის ორგანიზებასთან დაკავშირებული მომსახურებების“ შესყიდვის შესახებ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 1 მაისის N70 განკარგულების შესაბამისად, გაფორმდა გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით 2012 წლის 4 ივლისს, ანუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისის სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 2 თვის შემდეგ.

⁷ ხელშეკრულება N216. 15.10.2012 ღირებულება 49,0 ათასი აშშ დოლარი

⁸ ხელშეკრულება N155. 4.07.2012 ღირებულება 56,6 ათასი ფუნტი სტერლინგი

- ხელშეკრულება⁹ „ქობულეთის ტურისტული ზონის გენერალური გეგმის“ შესყიდვის შესახებ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 1 თებერვლის N716 განკარგულებების შესაბამისად, გაფორმდა გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით 2012 წლის 4 ივლისს, თუმცა პროექტის მიწოდების შემდეგ (2012 წლის აპრილი და დეკემბერი), პროექტის ფარგლებში სხვა რაიმე აქტივობები არ განხორციელებულა. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებებში არ არის მითითებული გასაწევი მომსახურების შესაბამისი კლასიფიკატორის კატეგორიის ან ქვეკატეგორიის კოდები¹⁰.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, დეპარტამენტისა და მისდამი დაქვემდებარებული ა(ა)იპ „ბათუმის ტურისტული სააგენტოს“ საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

• საზუღაღტრო დოკუმენტაციის წარმოება

ა(ა)იპ „ბათუმის ტურისტული სააგენტოს“ მიერ საკუთარი შემოსავლებით საქონლისა თუ მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული კონტროლის მექანიზმები, რაც თანხის მიზნობრივ გამოყენებასთან დაკავშირებით რისკის შემცველია. კერძოდ:

- გრანტის სახით მიღებული თანხის ფარგლებში, სატრენინგო მომსახურებასთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებებში¹¹ არ არის გათვალისწინებული სატრენინგო საკითხები, დამსწრე პირთა შერჩევისა და დატრენინგებულ პირთა შეფასების კრიტერიუმები

• ბიუჯეტის შედგენა-შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2012 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი 2865,6 ათასი ლარით განისაზღვრა. ამავე პერიოდის საკასო ხარჯი 2659,3 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 92,8 პროცენტია. დეპარტამენტის სისტემაში შემავალი ა(ა)იპ „ტურისტული სააგენტოს“ საბიუჯეტო პარამეტრების გათვალისწინებით ბიუჯეტის შესრულება შემდეგი სახისაა:

⁹ ხელშეკრულება N24. 1.02.2012 ღირებულება 26,0 ათასი აშშ დოლარი

¹⁰ შეუსრულებელია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹¹ 5 ხელშეკრულება საერთო ჯამში 9,7 ათასი ლარის ღირებულებით.


დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრუ ლების %
ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ადმინისტრაცია	672.3	642.3	30.0	95.5
ა(ა)იპ „ბათუმის ტურისტული სააგენტო“	243.3	228.2	15.1	93.8
ტურიზმის საინფორმაციო-სარეკლამო სისტემის შექმნა	1950.0	1788.8	161.2	91.7
ჯამი	2865.6	2659.3	206.3	92.8

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2012 წლის ბიუჯეტის შესრულება მოცემულია ცხრილის სახით

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების დასახელება	2012 წლის ბიუჯეტი		2012 წლის ხარჯები		გადახრა ფაქტ.ხარჯსა და გადახდას შორის		გადახრა გეგმა- საკასო	შესრ. %
	დამტკ.	დაზუსტ.	საკასო	ფაქტობრივი	მეტო ბა	ნაკლებო ბა		
სულ ხარჯები								
1. ხარჯები	2552,3	2554,4	2363,2	2402,3	40,1		191,2	92,5
მათ შორის								
1.1 შრომის ანაზღაურება	404.8	404.8	404,8	404,8	0		0	100
1.2 საქონელი და მომსახურება	194.5	194.5	164,6	166,0	1,4		29,9	84,6
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება				41,4	41,4			
1.8 სხვა ხარჯები	1953,0	1955,1	1793,7	1790,1		3,6	161,4	91,6
არაფინანსური აქტივების ზრდა								
2. სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	70,0	67,9	67,9				0	100
სულ	2662.3	2622,3	2431,1	2402,3			191,2	91,6

სხვაობა 2012 წლის ფაქტობრივსა და საკასო ხარჯების შორის ავანსად გადარიცხულ თანხებზე მოდის.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2011 და 2012 წლების საკასო ხარჯების შედარების დინამიკა:



წარმოდგენილი გრაფიკიდან ჩანს, რომ დეპარტამენტის 2012 წლის ხარჯები, გასული წლის მონაცემებთან შედარებით, მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდება, კერძოდ:


➤ გაზრდილია: თანამდებობრივი სარგო - 63,5 ათასი ლარით, პრემია - 59,4 ათასი ლარით, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 8,7 ათასი ლარით, ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯი - 5,2 ათასი ლარით და სხვა ხარჯები - 845,1 ათასი ლარით. ხარჯების აღნიშნული ზრდა დეპარტამენტის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო ასიგნებების ზრდითაა გამოწვეული.

➤ 2011 წელთან შედარებით დეპარტამენტის აპარატში გაზრდილია შრომის ანაზღაურების მუხლი 122,9 ათასი ლარით. შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული მთლიანი ხარჯებიდან 149,5 ათასი ლარი გაცემულია პრემიის სახით, რომელიც მთლიანი შრომის ანაზღაურების 36,9% შეადგენს. წლიური მონაცემების შეჯამებით, პრემიების გაცემა ხდება ყოველთვიურად თითოეულ თანამშრომელზე 50%-ის ოდენობით, ხოლო ყოველკვარტალურად - 100%-ის ოდენობით.

➤ 2012 წლის მივლინების მუხლით გაწეული ხარჯები 76,9 ათას ლარს შეადგენს, რაც 2011 წლის მაჩვენებელზე 10,0 ათასი ლარით ნაკლებია. სამივლინებო ხარჯების უმეტესი წილი ქვეყნის გარეთ მივლინების ხარჯების ანაზღაურებისათვისაა გაწეული.

➤ დეპარტამენტის 2012 წელს არაფინანსური აქტივების მუხლით გაწეული საკასო ხარჯი 67,9 ათას ლარს შეადგენს, რაც 32,3 ათასი ლარით მეტია 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე და წლიური დაზუსტებული გეგმის 100 პროცენტია.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2012 წლის საკასო ხარჯების ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებთან მიმართებით წარმოდგენილია შემდეგი პროპორციით:



აუდიტის პერიოდში დეპარტამენტის აპარატის მიერ გამოცხადებული იქნა 28 ტენდერი. მიღებული შედეგების გათვალისწინებით ხელშეკრულებები გაფორმდა 21 შემთხვევაში, ტენდერი არ შედგა 7 შემთხვევაში.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული 259 ხელშეკრულებიდან 4 შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმებულია კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, 21 შემთხვევაში - ელექტრონული ტენდერის საშუალებით და 234 შემთხვევაში - გამარტივებული შესყიდვით.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

გოჩა შარაბიძე /უფროსი აუდიტორი/

24.10.2014წ.

გურანდა გვაზავა /აუდიტორი/

24.10.2014წ

ანგარიშების ფორმები

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა # 1

ორგანიზაციის ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

ჩაბარების ვადა

ჩააბარა

გ. ბიხუაძე

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული:

გ.შ.რ.

2012 წლის IV კვარტალი

შეამოწმეთ:

მ. ჟორდია

20.02.13.

კოდი	აქტივები	ანგ. #	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		0
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120		0
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		0
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		0
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		0
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		0
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის სავსო ხარჯებისათვის	1250		0
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		0
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		0
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		0
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		0
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		0
130	მოკლევადიანი სესხები	1320		0
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		0
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		0
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		0
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		0
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსური აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		0
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხ	1354		0
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მოთხოვნების მიწოდ	1355		0
210	გადახდილი დღგ	1356		0
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		0
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		0
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		0
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		0
260	მოთხოვნები ბარტერით	1410		0
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		0
280	მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	1430	46,900	10,321
290	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	2,400	2,400
300	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		0
310	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		0
320	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		0
330	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		0
340	გრძელვადიანი სესხები	1510		0
350	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1520		0
360	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1530		0
II. არაფინანსური აქტივები				
370	სტრატეგიული მარაგები	1610		0
380	სხვა მატერიალური მარაგები	1620	54,459	46,120
390	შენიშნა-ნაგებობები	2110	471,297	495,929
400	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	106,506	152,926
410	სხვა ძირითადი აქტივები	2130	3,823	3,178
420	დაუმთავრებელი მშენებლობა	2140		0
430	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		228
440	ფასეულობები	2300		0
450	არაწარმოებული აქტივები	2400	326,025	332,661
ბალანსი			1,011,410	1,043,762

12/02/13 10:45:29

გვერდი 2 3-დან

დო	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისის თვის	ნაშთი წლის (ვარტალის) ბოლოს
I. ვალდებულებები				
60	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
70	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		2018
80	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
90	ვალდებულებები ბარტერით	3230		
100	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
110	გადასახდელი დღგ	3242		
120	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		
130	სხვა გადასახდელები	3244		
140	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		
150	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		
160	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
170	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
180	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
190	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
200	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
210	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
220	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
230	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
240	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		
250	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
260	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
270	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		
280	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300		
II. კაპიტალი				
290	წმინდა ღირებულება	5100	1011410	1041744
300	საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
310	გაუნაწილებელი მოგება	5220		
320	დაუფარავი ზარალი	5230		
ბალანსი			1011410	1043762
III. საცნობარო მუხლები				
330	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01		
340	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		
350	გადახდის უუნარო დებიტორებზე ჩამოწერილი დავალიანება	03		
360	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	121815	122935
370	პირობითი მოთხოვნები	05		
380	პირობითი ვალდებულებები	06		
390	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
400	ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	08	260904	267564
410	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09	5694	5694
420	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მედიურების აქტივები	10	32129	35925

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

თავარი მ. ჯაფარიძე



გაგანა
12.02.2013
ქაჯაძე

ბალანსის დანართი ფორმა #2

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ორგანიზაციის დასახელება აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

კოდი 245427809

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2012 წლის IV კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახდა ფაქტ. ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	2,552,300	2,554,417	2,365,172	2,363,154	2,363,154	2,402,261	39,106
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	404,800	404,800	404,800	404,800	404,800	404,800	0
030	1.1.1 ხელფასები	211	0	0	404,800	404,800	404,800	404,800	0
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	0	0	404,800	404,800	404,800	404,800	0
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111	0	0	255,313	255,313	255,313	255,313	0
060	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112							
070	1.1.1.1.3 პრემია	21113	0	0	149,487	149,487	149,487	149,487	0
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114							
090	1.1.1.1.5 ჰონორარი	21115							
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116							
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							
120	1.1.2 სოციალური შენატანები	212							
150	1.2 საქონელი და მომსახურება	22	194,500	194,500	166,666	164,648	164,648	165,977	1,329

12/02/13 10:48:00

გვერდი 1 5-დან

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
160	1.2.1.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221	0	0	24,506	24,506	24,506	24,506	0
170	1.2.1.2 მივლინება	222	0	0	76,856	76,856	76,856	76,856	0
180	1.2.1.3 ოფისის ხარჯები	223	0	0	38,347	36,329	36,329	39,072	2,742
190	1.2.1.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224	0	0	4,770	4,770	4,770	4,855	85
200	1.2.1.5 კვების ხარჯები	225							
210	1.2.1.6 სამედიცინო ხარჯები	226							
220	1.2.1.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227							
230	1.2.1.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228	0	0	18,477	18,477	18,477	16,979	- 1,498
240	1.2.1.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	229							
250	1.2.1.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	0	0	3,710	3,710	3,710	3,710	0
260	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება *	23	0	0	0	0	0	41,411	41,411
270	1.4 პროცენტი	24							
280	1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე	241							
290	1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე	2411							
300	1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412							
310	1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე	2413							

12/02/13 10:48:00

გვერდი 2 5-დან

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე	2414							
330	1.4.2 საშინაო ერთეულებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა	242							
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე	243							
350	1.5 სუბსიდიები	25							
360	1.6 გრანტები	26							
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261							
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611							
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612							
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262							
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621							
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622							
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263							
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631							
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632							
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27							
470	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271							

12/02/13 10:48:00

გვერდი 3 5-დან

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711							
490	1.7.1.2. სასაქონლო ფორმით	2712							
500	1.7.2 სოციალური დახმარება	272				γ			
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721							
520	1.7.2.2. სასაქონლო ფორმით	2722							
530	1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273							
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731							
550	1.7.3.2. სასაქონლო ფორმით	2732							
560	1.8 სხვა ხარჯები	28	1,953,000	1,955,117	1,793,706	1,793,706	1,793,706	1,790,073	- 3,634
570	1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა	281							
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282	0	0	1,793,706	1,793,706	1,793,706	1,790,073	- 3,634
630	1.8.2.1 სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	2821	0	0	1,793,706	1,793,706	1,793,706	1,790,073	- 3,634
640	1.8.2.2 სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები	2822							

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ									
მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ თ ა დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა			სახელმწიფო ბიუჯეტით		არასახელმწიფო				
			წლიური გეგმით	ფაქტიურად *	წლიური გეგმით	ფაქტიურად *			
			24 5	24 5					
1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა									
1. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა									
* დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა გაანგარიშებულია საანგარიშებო პერიოდის განმავლობაში თვეების მიხედვით დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობით (საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ცალკეული თვის მიხედვით გაანგარიშებული დასაქმებულ პირთა საშუალოთვიური რაოდენობის ჯამი უნდა გაიყოს საანგარიშო პერიოდის თვეების რაოდენობაზე).									
ორგანიზაციის ხელმძღვანელი:									
მთავარი ბუღალტერი:									
ბ. ა									

გვერდი 12.02.2013
V. აჭარა

ბალანსის დანართი ფორმა #2-1

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

კოდი 245427809

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2012 წლის IV კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. არაფინანსური აქტივების ზრდა	31	70,000	67,883	67,881	67,881	67,881
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	0	0	67,881	67,881	67,881
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111	0	0	11,795	11,795	11,795
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111					
050	1.1.1.2 არსაცხოვრებელი შენობები	31112	0	0	11,795	11,795	11,795
060	1.1.1.3 საგზაო მაგისტრალები	31113					
070	1.1.1.4 ტუჩები	31114					
080	1.1.1.5 გზები	31115					
090	1.1.1.6 ხიდები	31116					
100	1.1.1.7 გვირაბები	31117					
110	1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	31118					
120	1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	31119					
130	1.1.1.10 მილსადენები	311110					
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111					
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	0	0	56,086	56,086	56,086
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121	0	0	46,000	46,000	46,000

12/02/13 10:49:42

გვერდი I 3-დან

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122	0	0	10,086	10,086	10,086
180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113					
190	1.1.3.1 კულტივირებული აქტივები	31131					
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132					
210	1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321					
220	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322					
230	1.2 მატერიალური მარაგები	312					
240	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121					
250	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122					
260	1.2.2.1 ნედლეული და მასალები	31221					
270	1.2.2.2 დაუმთავრებელი წარმოება	31222					
280	1.2.2.3 მზა პროდუქცია	31223					
290	1.2.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი	31224					
300	1.3 ფასეულობები	313					
310	1.4 არაწარმოებული აქტივები	314					
320	1.4.1 მიწა	3141					
330	1.4.2 წიაღისეული	3142					
340	1.4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	3143					
350	1.4.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	31431					
360	1.4.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები	31432					

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
370	1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	3144					

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: _____

მთავარი ბუღალტერი: _____



ბალანსის დანართი ფორმა # 5

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება - გასვლის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

კოდი 245427809

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2012

წლის IV კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყ.	მიღება								გასვლა												ნაშთი წლის, პერიოდ ბოლოს
			შესყიდვით	ბარტერით	იმავე დონის სახ. ერთ. უსასყ.	გრანტებით	სხვა შემოსავლებით	სხვა ეკ. ნაკადებით	საკუთარი სახსრები	დანაკლისის აღდგენით	გაყიდვით	ბარტერით	იმავე დონის სახ. ერთ. უსასყ.	ხელფასები	სესიონური	გრანტებით	სოც. დახმარებით	დანაკლისით	სხვა ხარჯებით	სხვა ეკ. ნაკადებით	საკუთ. სახსრ. კაპიტ. შექმნა	ძირით. კაპიტ. მოხმარ.	
010	1. მატერიალური მარაგები	54,459	171,579	0	177	0	0	0	0	0	0	8,756	0	0	0	0	0	143,980	0	0	0	27,359	46,120
020	1.1 სტრატეგიული მარაგები																						0
030	1.2 სხვა მატერიალური მარაგები	54,459	171,579	0	177	0	0	0	0	0	0	8,756	0	0	0	0	0	143,980	0	0	0	27,359	46,120
040	1.2.1 ნედლეული და მასალები																						0
050	1.2.2 დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურება																						0
060	1.2.3 მზა პროდუქცია																						0
070	1.2.4 შემდეგში რეალიზაციისათვის შექმნილი საქონელი																						0
080	1.2.5 ფულადი დოკუმენტები	1,393	16,610	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	15,112	2,891
090	1.2.6 სათანადო ნაწილები		1,705	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1,705	0
100	1.2.7 სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	53,066	153,264	0	177	0	0	0	0	0	0	8,756	0	0	0	0	0	143,980	0	0	0	10,542	43,229
110	2. ძირითადი აქტივები	581,626	109,521	0	2,297	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	41,411	0	652,033
120	2.1 შენობა-ნაგებობები	471,297	39,822	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	15,191	0	495,929
130	2.1.1 საცხოვრებელი შენობები																						0

12/02/13 10:53:34

გვერდი 1 3-დან

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწ.	მიღება								გასვლა												ნაშთი წლის, პერიოდ ბოლოს	
			შესყიდ - ვით	ბარ - ტერ - ით	იმევე დონის სახ.ერთ უსასყ.	გრანტე ბით	სხვა შემოსავ ლებით	სხვა ეკ. ნაკადე - ბით	საკუთა - რი სახსრე -	დანაკ - ლისის აღდგე - ნით	გაყიდ - ვით	ბარ - ტერ - ით	იმევე დონის სახ.ერთ უსასყ.	ხელფა - სები სასაქ. ფორმ.	სუბსი - დიები თ	გრანტე ბით	სოფ. დახმ - რებით	დანაკ - ლისით	სხვა ხარჯე - ბით	სხვა ეკ. ნაკადე - ბით	საკუთ. სახსრ. კაპიტ. შექმნა	ძირით. კაპიტ. მოხმარ.		საქონ. და მომ სახურ.
140	2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	426,287	11,795	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	9,849	0	428,232
150	2.1.3 საგზაო მაგისტრალე ბი																							0
160	2.1.4 ქუჩები																							0
170	2.1.5 გზები																							0
180	2.1.6 ხიდები																							0
190	2.1.7 გვირაბები																							0
200	2.1.8 გაყვანილობის სისტემები																							0
210	2.1.9 სხვა ნაგებობები	45,011	28,027	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	5,341	0	67,697
220	2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	106,506	69,698	0	2,297	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	25,576	0	152,926
230	2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	23,838	46,000	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	9,173	0	60,665
240	2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	82,669	23,698	0	2,297	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	16,403	0	92,261
250	2.3 სხვა ძირითადი აქტივები	3,823								0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	645	0	3,178
260	2.3.1 კულტივირებული აქტივები																							0
270	2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	3,823								0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	645	0	3,178
280	2.4 დაუმთავრებელი მშენებლობა																							0
290	3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები		2,788	0	1,206	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	978	0	0	0	2,788	228

12/02/13 10:53:34

გვერდი 2 3-დან

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყ.	მიღება								გასცემა												ნაშთი წლის, პერიოდ ბოლოს	
			შესყიდვით	ბარ - ტერ - ით	იმვე დონის სახ. ერთ უსასყ.	გრანტებით	სხვა შემოსავლებით	სხვა ეკ. ნაკადებით	საკუთარი სახსრები	დანაკლისის აღდგენით	გაყიდვით	ბარ - ტერ - ით	იმვე დონის სახ. ერთ უსასყ.	ხელფასები სასაქ. ფორმ.	სუბსიდიებით	გრანტებით	სოც. დანაშ. რებით	დანაკლისით	სხვა ჩარევებით	სხვა ეკ. ნაკადებით	საკუთარი სახსრ. კაპიტ. შექმნა	ძირით. კაპიტ. მოხმარ.		საქონ. და მომ. სახურ.
300	4. ფასეულობები																							0
310	4.1 ძვირფასი ქვები და ლითონები																							0
320	4.2 ხელოვნების ნიმუშები																							0
330	4.3 სხვა ფასეულობები																							0
340	5. არაწარმოებული აქტივები	326,026	0	0	6,636	0	0	0	0	0														332,661
350	5.1 მიწა	326,026	0	0	6,636	0	0	0	0	0														332,661
360	5.2 წიაღისეული																							0
370	5.3 სხვა ბუნებრივი აქტივები																							0
380	5.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები																							0

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:



12/02/13 10:53:34

გვერდი 3 3-დან

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების ძეს კბ

ორგანიზაციის დასახელება აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

კოდი 245427809

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2012 წლის IV კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

ანგ. #	დებეტი	თანხა	ანგ. #	კრედიტი	თანხა
	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	0		ნაშთი წლის დასაწყისისთვის	1,011,410
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	404,800	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2,431,036
7200	საქონელი და მომსახურება	165,977	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენს. და დახმ -ის გასაცემად	0
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	41,411	6000	შემოსავლები	0
7310	მ.შ. ფიზიკური ცვეთა	40,766	6300	მ.შ. გრანტები	0
7400	პროცენტი	0			
7500	სუბსიდიები	0			
7600	გრანტები	0			
7700	სოციალური უზრუნველყოფა	0			
7800	სხვა ხარჯები	1,790,073			
1300 - 1400	აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	0	1300 - 1400	აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	0
3000	ფინანსური აქტივები	0	3000	ფინანსური აქტივები	0
	ფინანსური ვალდებულებები	0		ფინანსური ვალდებულებები	0
1600 - 2000	არაფინანსური აქტივები	8,756	1600 - 2000	არაფინანსური აქტივები	10,315
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	0	8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	0
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლ.საკასო შესრულებით *	0			
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *	0			
	სადებეტო ბრუნვა	2,411,017		საკრედიტო ბრუნვა	2,441,351
	სულ ჯამი**	2,411,017		სულ ჯამი***	3,452,761
	ნაშთი პერიოდის ბოლოს	0		ნაშთი პერიოდის ბოლოს	1,041,744

* აღნიშნულ სტრიქონზე აღირიცხება სახელმწიფოს სახელით გაწეული მომსახურებებით მიღებული შემოსავლებიდან და სხვა ბიუჯეტის კუთვნილი თანხები

** სადებეტო ნაშთის წლის დასაწყისისთვის ემატება სადებეტო ბრუნვა

*** საკრედიტო ნაშთის წლის დასაწყისისთვის ემატება საკრედიტო ბრუნვა

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ. ა

ბალანსის დანართი ფორმა №6 (3.04.2012. №105)

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემები

ორგანიზაციის დასახელება - აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

კოდი: 245427809

შეიქმედდა: წელთა კვარტალური, -2013 წლის 1 იანვრისათვის ზომის ერთეული: ლარი

ანალიზური აღრიცხვის მონაცემები														
დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში(რ-ბა)		საანგარიშო პერიოდში მიღება		საანგარიშო პერიოდში გასვლა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
			შეძენა	სხვა სახით მიღება	ექსპლუატაციიდან გასული	სხვა სახით გასული								
	მუშა მდგომარეობაში	არამუშა მდგომარეობაში	რაოდენობა	რაოდენობა	რაოდენობა	რაოდენობა	სულ ხარჯი	მ.შ. შედეგება	მ.შ. საწვავი	მ.შ. მ.შ. სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შედეგება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები
1. სატრანსპორტო საშუალება სულ:	1		1				18477	1802	14970	1705	16979	1802	13472	1705
1.1 მ.შ. მსუბუქი			1				5072	232	4190	650	5607	232	4725	650
1.2 ჯიპები და პიკაპები	1						13405	1570	10780	1055	11372	1570	8746.8	1055
1.3 სატვირთო														
2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი და საოფისე ტექნიკა სულ:	30	3	8	2	4									
2.1 მობილური ტელეფონები	4	2	4	1										
2.2. ტელევიზორები	3	1	1											
2.3 კომპიუტერები	23		3	1	4									160

ორგანიზაციის ხელმძღვანელი :



მანქანის მფლობელი :